საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები
2019

1.10.2020

www.geostat.ge

01.10.2020

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები 2019 წელი

(შედარებები გაკეთებულია ფაქტობრივ ფასებში)

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფებიან თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად იღებენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. ისინი შემოსავლებს იღებენ აგრეთვე ორგანიზაციის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლება.

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2019 წელს არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის ბრუნვის მოცულობამ დამხმარე კომერციული საქმიანობიდან 169.9 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 23.3 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს:

დიაგრამა №1

არაკომერციული ორგანიზაციების ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი



ბრუნვის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდის განათლების (36.9 პროცენტი), აგრეთვე, ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგზე (21.0 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (18.6 პროცენტი), სხვა სახის მომსახურების გაწევის (7.7 პროცენტი), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებისა (7.5 პროცენტი) და ინფორმაცია და კომუნიკაციის (4.1 პროცენტი) დარგის ორგანიზაციებზე.

ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 2.2-ჯერ გაზრდილია საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის დარგში, 2-ჯერ წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების დარგში, 1.9-ჯერ პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგში, 43.8 პროცენტით ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგში, 30.8 პროცენტით ტრანსპორტირება და დასაწყობების დარგში, 25.2 პროცენტით განათლებაში, 22.5 პროცენტით ინფორმაცია და კომუნიკაციის დარგში და 10.9 პროცენტით სხვა სახის მომსახურების დარგში.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების მოცულობამ არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში 2019 წელს 1402.6 მლნ. ლარი შეადგინა (აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 30.1 პროცენტით).

პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (28.9 პროცენტი), სხვა სახის მომსახურების (20.6 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენების (16.1 პროცენტი), განათლების (13.5 პროცენტი) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (13.1 პროცენტი) დარგის ორგანიზაციები.

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2019 წელს 54.4 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 53.2 პროცენტი ქალია, ხოლო 46.8 პროცენტი კაცი. აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით 2.6 პროცენტითაა გაზრდილი:

დიაგრამა №2

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა



დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი – 28.8 პროცენტი – განათლების დარგის ორგანიზაციებზე მოდის. 22.5 პროცენტი - ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგის ორგანიზაციებზე, 14.4 პროცენტი - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, 12.8 პროცენტი - სხვა სახის მომსახურების დარგის ორგანიზაციებზე, 9.9 პროცენტი - წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, 5.2 პროცენტი - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, ხოლო დანარჩენი 6.4 პროცენტი სხვა დარგებზე ნაწილდება.

დასაქმებულთაგან დაქირავებულია 53.7 ათასი (მათ შორის ქალია 53.3 პროცენტი). დაქირავებულთა რაოდენობა 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით გაზრდილია 2.8 პროცენტით.

01.10.2020

წყარო:

არაკომერციული ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

შენიშვნა:

გამოკვლევის შედეგებში 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ჩართულია სკოლამდელი დაწესებულებები (ბაგა-ბაღები), ფასიანი სწავლების გამო, რაც ბიზნეს რეგისტრის განახლებასთან ერთად, მაჩვენებელთა ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გვევლინება

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 236 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge